გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 15.04.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 03.06.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული (ინგლისური კომპონენტებით)
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა	გიორგი გვალია, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, სტუდენტი/დოქტორანტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის და დიპლომატიის ფაკულტეტის ბაზაზე, ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, რელევანტური საუნივერსიტეტო სამსახურების (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა და ა.შ.) და გარე დაინტერესებული აქტორების ჩართულობით. პროგრამა ახალია. პროგრამა დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 17 ნოემბრის #05/01 – 661 დადგენილებით. პროგრამით გათვალისწინებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება.

წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალების ახალი თაობა, რომელსაც ექნება სიღრმისეული ცოდნა, როგორც დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის კონცეპტუალური და თეორიული საკითხების, ასევე ის უნარ-ჩვევები, რომელიც დარგში პრაქტიკული ამოცანების შესასრულებლად არის საჭირო. პროგრამის კონცეპტუალურ ღერძს „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ იდეა წარმოადგენს. აღნიშნული იდეის თანახმად, უნივერსიტეტის საკვანძო მისიაა ხელშესახები წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრაში, მათ შორის კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის მიმართულებით.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია და მისი ხანგრძლივობა 2 აკადემიურ წელიწადს შეადგენს. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. სავალდებულო კომპონენტების წილი 96 კრედიტია. ამათგან 66 კრედიტი ეთმობა სასწავლო კურსებს, ხოლო 30 კრედიტი კვლევით კომპონენტს, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომს. არჩევითი კურსების კომპონენტი მოიცავს 24 კრედიტს. დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის დარგობრივი კურსების პარალელურად პროგრამაში ჩართულია სასწავლო კურსები მომიჯნავე დისციპლინებიდან (ეკონომიკა, სამართალი). აღნიშნული გარემოება ხაზს უსვამს პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს. ამავდროულად, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უცხო ენების სწავლება, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კომპონენტების სახით. პროგრამა ქართულენოვანია, თუმცა მასში წარმოდგენილია კურსები ინგლისურ ენაზე, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ბლოკებიდან.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია დიპლომატიურ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი. აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების ამგვარი სინთეზი კი ქმნის ხელსაყრელ პირობებს პროგრამის შედეგებზე ეფექტიანად გასვლისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი 2021 წლის 15 აპრილს ონლაინ ფორმატში განხორციელდა. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეხვედრები შედგა მოცემული თანმიმდევრობით: 1) უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან; 2) პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; 3) პროგრამის ხელმძღვანელებთან; 4) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრინველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; 5) პროგრამის აკადემიურ პერსონალთან; 6) პროგრამის მოწვეულ ლექტორებთან; 7) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან; 8) დამსაქმებლებთან; 9) მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუების დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასმული კითხვები ფარავდა ისეთ საკითხებს როგორიც არის: პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან, პროგრამის აქტუალურობა დასაქმების ბაზრის საჭიროებების ჭრილში, პროგრამის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები, საბიბლიოთეკო და სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, სტუდენტების და კურსდამთავრებულების შეფასებები და უკუკავშირი სასწავლო პროცესთან და სხვა პროგრამისთვის რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით, დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, მათი მოლოდინები და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები და სხვა რელევანტური საკითხები. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც მოხდა ინტერვიუებისა და დოკუმენტების დამუშავების შედეგად გამოკვეთილი მიგნებების გაზიარება დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. შემაჯამებელ შეხვედრას დაწესებულების მხრიდან დაესწრნენ სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოს სამსახურის ხელმძღვანელი.

ხაზგასასმელია, რომ ვიზიტმა უაღრესად კოლეგიალურ, პოზიტიურ და საქმიან გარემოში ჩაიარა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან. წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია 1, 3, 4 და 5 სტანდარტებთან (მხოლოდ 4.3 ქვესტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო დანარჩენი როგორც სრულად შესაბამისი). რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, ის შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, 2.2 და 2.3 ქვესტანდარტების მეტწილად შესაბამისად შეფასების გამო. მე-2 სტანდარტის სხვა ქვესტანდარტები, კერძოდ 2.1, 2.4, 2.5 და 2.6 შეფასებულია როგორც სრულად შესაბამისი.

რეკომენდაციები

1. პროგრამას დამოუკიდებელ კურსებად დაემატოს აკადემიური წერის და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსები;
2. პროგრამას დაემატოს შემდეგი თემატური სასწავლო კურსები: 1) საგარეო პოლიტიკის ანალიზი; 2) კონფლიქტის და მშვიდობის კვლევები; 3) შედარებითი პოლიტიკა;
3. რეკომენდირებულია საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის კურსს მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტაუსი, ხოლო საერთაშორისო ეკონომიკის კურსს - არჩევითი კურსის სტატუსი;
4. სასწავლო კურსს „Contemporary International Contract Law and Practice“ მიენიჭოს არჩევითი კურსის სტატუსი, ნაცვლად სავალდებულოსი;
5. სასწავლო კურსს „დიპლომატიური პროტოკოლი და ეთიკა“ მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტატუსი;
6. პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან შეუსაბამობის გამო გადაიხედოს სასწავლო კურსის „აქსიოლოგია და ეგზისტენციალური კრიზისი“ წარმოდგენილ პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხი;
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით გაიწეროს;
8. აუცილებელია ბიბლიოთეკაში სრულად, გამონაკლისის გარეშე იყოს ხელმისაწვდომი პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა;

9. რეკომენდირებულია პროგრამისთვის რელევანტურ ონლაინ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის განახლება ან მათი შესყიდვა. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ინსტიტუციური წვდომის ქონა შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO, JSTOR, Muse Project, Taylor@Francis Online.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია დაზუსტდეს სპეციალობაში წერითი გამოცდა კონკრეტულად რა სახის და რა მოცულობის წერითი ნაშრომის შესრულებას გულისხმობს;
2. სასურველია დაზუსტდეს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი რომელი საერთაშორისო სერტიფიკატები ჩაითვლება ვალიდურად;
3. შესაძლებელია პროგრამაზე მიღების ეტაპზე დამატებით ზეპირი გასაუბრების კომპონენტის ჩართვა;
4. სასურველია, უსდ-მ უფრო აქტიურად გამოიყენოს პლაგიატის სისტემა პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში პლაგიატზე მოხდეს არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის, არამედ სასწავლო კურსების შუალედური და ფინალური წერითი ნაშრომების (ესეების, რეფერატების) შემოწმება;
5. სასურველია უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ როგორ იყენებს დაწესებულება პერსონალის შეფასების შედეგებს პერსონალის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
6. სასურველია გაიზარდოს სტუდენტური პროექტების დაფინანსებისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობა;
7. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში უფრო რეალისტური ფინანსური რესურსები იქნას გათვალისწინებული პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების მხარდასაჭერად;
8. სასურველია დაზუსტდეს რა კავშირშია ბიუჯეტში მოცემული მუხლი „მიმდინარე რემონტის ხარჯი", რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ რესურსს 500 ლარის ოდენობით, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამასთან.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. კარიერული დიპლომატების და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის მონაწილეობა პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.
2. პროგრამაზე მიღების წინაპირობად ინგლისური ენის B 2 დონეზე ფლობის მოთხოვნა.
3. პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსში ფიქსირდება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება (ერთობლივი კვლევა; როლური თამაშები; ფილმის ჩვენება; დოკუმენტის მომზადება), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესში ინტერაქციას და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღზარდოს პროფესიონალების ახალი თაობა, რომელიც შეძლებს, როგორც დარგისთვის რელევანტური თეორიული და კონცეპტუალური საკითხების კრიტიკულად გააზრებას და მათზე აკადემიურად რეფლექსირებას, ასევე პროგრამაში ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტების საფუძველზე მზად იქნება ეფექტიანად და წარმატებით გაართვას თავი თანამედროვე დიპლომატიის და საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარ ამოცანებს. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის პროგრამაში ინტეგრირებულია როგორც თეორიული და მეთოდოლოგიური კომპონენტები, ასევე ცალკეული კურსები, რომელთა მიზანი სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ პროგრამაში ჩართულია ხელშესახები დიპლომატიური გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პრაქტიკული ხასიათის კომპონენტების სრულფასოვანი და წარმატებული განხორციელებისთვის. ამავე თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სტუდენტების უცხო ენის კომპეტენციებით აღჭურვას. გარდა იმისა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობაა, პროგრამაში დამატებით სავალდებულო კომპონენტის სახით დარგობრივი ინგლისური ენის კურსია ინტეგრირებული. ინგლისური ენის პარალელურად პროგრამაში არჩევითი კურსების სტატუსით შეთავაზებულია რამდენიმე სხვა უცხო ენის სწავლებაც. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ქმნის საფუძველს პროგრამის მიზნების ეფექტიანად მიღწევისთვის, განსაკუთრებით სტუდენტების ე.წ. პრაქტიკული/გამოყენებითი უნარებით აღჭურვის

თვალსაზრისით. ცალსახად მისასალმებელი ფაქტია პროგრამაში გამოყენებითი ელემენტების სიჭარბე და პროგრამის ორიენტირება სტუდენტების იმგვარი უნარებით აღჭურვაზე, რაც მათ პრაქტიკული და პროფესიული ამოცანების შესასრულებლად დასჭირდებათ. ამავდროულად, მიზანშეწონილია, რომ პროგრამაში უკეთ იქნას დაცული ბალანსი პროგრამის პრაქტიკულ და აკადემიურ კომპონენტებს შორის, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქმე სწავლების სამაგისტრო საფეხურს ეხება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ამ ეტაპზე პროგრამაში სჭარბობს პრაქტიკული ელემენტები. ამავდროულად, აღნიშნული ბალანსის მიღწევა არ წარმოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას და პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს საკმარის კომპეტენციას ამ მიმართულებით პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განსახორციელებლად. ექსპერტთა ჯგუფს აქვს მოსაზრებები, როგორ უნდა მოხდეს ამ ბალანსის მიღწევა და კონკრეტული რეკომენდაციები დასკვნის შესაბამის ნაწილებში იქნება შემოთავაზებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტი აღჭურვოს იმგვარი ცოდნითა და უნარებით, რაც მას მისცემს შესაძლებლობას წარმატებულად გაართვას თავი დარგისთვის და პროფესიული საქმიანობისთვის რელევანტურ საჭიროებებს და ამოცანებს.

პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კომპონენტების საფუძველზე სტუდენტები იღებენ დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ ცოდნას. შესასწავლი საკითხების არეალი საკმაოდ ფართოა და მოიცავს როგორც ლოკალური და რეგიონული საერთაშორისო პოლიტიკის თემატიკას, ასევე გლობალური პოლიტიკის საკითხებს. ამავდროულად, პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსები მომიჯნავე დისციპლინებიდან, როგორიც არის სამართალი და საერთაშორისო სამართალი, ეკონომიკა და სხვა. ეს გარემოება კი თავისმხრივ დადებითად მეტყველებს პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათზე. ასევე, პროგრამაში ინტეგრიებულია უცხო ენების კომპონენტი, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას ინგლისური ენის შემთხვევაში მიაღწიოს ენის ფლობის პროფესიული საქმიანობისთვის სრულიად საკმარის დონეს, ხოლო დამატებითი უცხო ენების შემთხვევაში შეიქმნას მნიშვნელოვანი საფუძველი შეძენილი ცოდნის მომავალში სრულყოფისთვის.

კიდევ ერთხელ განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პროგრამაში ჩართული კარიერული დიპლომატების გამოცდილება. ეს გამოცდილება მნიშვნელოვანი

წინაპირობაა, რომ სტუდენტებმა მთელი რიგი თეორიული საკითხები ლექტორების პროფესიული გამოცდილების შუქზე გაიაზრონ.
ასევე, სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის შესრულებისას სტუდენტები ივითარებენ კვლევების დაგეგმვის და განხორციელების უნარებს, რაც აღნიშნული პროგრამის წარმატებით დასრულების აუცილებელი პირობა და შედეგია.
პროგრამაში გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ლოგიკურია და პასუხობს როგორც პროგრამის, ასევე ზოგადად დარგის სპეციფიკას. საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამის როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტებისგან და შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება № 05/01-362, 12. 10. 2017)
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების შემდეგი წინაპირობები და პროცედურებია განსაზღვრული: • სწავლების წინარე საფეხურის გავლის დამადასტურებელი კვალიფიკაცია; • საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები; • ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დადასტურება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს შემოთავაზებულიდან ერთ-ერთი გზით: 1) ინგლისური ენის

ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენით; 2) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დიპლომის წარმოდგენით; 3) ინგლისური ენის ფილოლოგის საბაკალავრო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით; 4) ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით. • შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (წერითი ფორმით); • მობილობა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები, რომლებიც მობილობის წესით გადმოვლენ აღნიშნულ პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისწავდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. დაზუსტდეს სპეციალობაში წერითი გამოცდა კონკრეტულად რა სახის და რა მოცულობის წერითი ნაშრომის შესრულებას გულისხმობს; 2. დაზუსტდეს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი რომელი საერთაშორისო სერტიფიკატები ჩაითვლება ვალიდურად; 3. შესაძლებელია პროგრამაზე მიღების ეტაპზე დამატებით ზეპირი გასაუბრების კომპონენტის ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამაზე მიღების წინაპირობად ინგლისური ენის B 2 დონეზე ფლობის მოთხოვნა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებელია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უმეტესწილად ადეკვატურად პასუხობს დარგის მოთხოვნებს და პროგრამის მიერ განსაზღვრულ მიზნებს.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია და მისი ხანგრძლივობა 2 აკადემიურ წელიწადს შეადგენს. პროგრამა ქართულენოვანია, თუმცა მასში წარმოდგენილია კურსები ინგლისურ ენაზე, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ბლოკებიდან.

პროგრამის სავალდებულო კომპონეტებზე მოდის ჯამში 96 კრედიტი. ამათგან 66 კრედიტი ეთმობა სასწავლო კურსებს, ხოლო 30 კრედიტი კვლევით კომპონენტს, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომს. არჩევითი კურსების კომპონენტი მოიცავს 24 კრედიტს. დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის დარგობრივი კურსების პარალელურად პროგრამაში ჩართულია სასწავლო კურსები მომიჯნავე დისციპლინებიდან (ეკონომიკა, სამართალი). უფრო კონკრეტულად, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დარგისთვის მნიშვნელოვანი ისეთი კურსების სწავლება, როგორიც არის: საერთაშორისო

ურთიერთობების თეორიები, დიპლომატიური თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო სამართალი, ეკონომიკის პრინციპები, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა, სახელმწიფოს მოწყობის პრინციპები, რეგიონალური და გლობალური საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, საგარეო პოლიტიკის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები და პროგრამისთვის რელევანტური სხვა სასწავლო კურსები.

ამავდროულად, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უცხო ენების სწავლება, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კომპონენტების სახით. კერძოდ, პროგრამის სავალდებულო ბლოკში ინტეგრირებულია ინგლისური ენის დარგობრივი კურსი, რომლის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს ინგლისური ენის ფლობის დარგობრივი ცოდნა. პროგრამაზე მიღების წინაპირობად ინგლისური ენის B 2 დონეზე ფლობის პარალელურად ინგლისური ენის დარგობრივი კურსის არსებობა მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები დაუბრკოლებლად შეძლებენ ინგლისური ენის გამოყენებას პროფესიული თუ სხვა სახის საჭიროებებისთვის. გარდა ინგლისური ენისა, პროგრამაში ასევე არჩევითი კურსების სახით გათვალისწინებულია თურქული, რუსული და ფრანგული ენების ორი დონის სწავლება. ასევე, პროგრამაში ინტეგრირებულია აფხაზური და ოსური ენების სწავლების კომპონენტები.

სასწავლო კომპონენტების პარალელურად პროგრამაში 30 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც სტუდენტები პროგრამის ბოლო, მეოთხე სემესტრში ასრულებენ.

საერთო ჯამში, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პასუხობს პროგრამის მიზნებს და ამოცანებს და ზოგადად დარგის სპეციფიკას. ამავდროულად, მიზანშეწონილია, რომ პროგრამაში უკეთ იქნას დაცული ბალანსი პროგრამის პრაქტიკულ და აკადემიურ კომპონენტებს შორის, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება სწავლების სამაგისტრო საფეხურს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ამ ეტაპზე პროგრამაში სჭარბობს პრაქტიკული ელემენტები, რაც თავისმხრივ წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს, თუმცა, მნიშვნელოვანია პროგრამის აკადემიურ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის ბალანსი უკეთ იქნას დაცული. აღნიშნული ბალანსის მიღწევა არ წარმოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას და არ საჭიროებს წარმოდგენილ პროგრამაში ფუნდამენტურ ცვლილებებს. ასევე, ხაზგასასმელია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს საკმარის კომპეტენციას ამ მიმართულებით პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად.

ჩვენი შეფასებით, ზემოაღნიშნული ბალანსის მისაღწევად და პროგრამის აკადემიური ასპექტების უფრო მკაფიოდ გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია:

1. პროგრამას დამოუკიდებელი კომპონენტის სახით დაემატოს აკადემიური წერის კურსი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ორიენტირებული იქნება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაზე;
2. პროგრამას დამოუკიდებელი კომპონენტის სახით დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსი;
3. პროგრამას დაემატოს საგარეო პოლიტიკის ანალიზის კურსი. აღნიშნული კურსის ამოცანა იქნება სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ, რაც საერთაშორისო ურთიერთობების დარგში საგარეო პოლიტიკის კვლევის და შესწავლის მიმართულებით არსებობს. აღნიშნული კურსის საფუძველზე სტუდენტებს განუვითარდებათ საგარეო პოლიტიკის კვლევის და შეფასების იმგვარი ფართო უნარები, რომლის გამოყენებასაც შეძლებენ ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესწავლისას. პროგრამაში საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ამ ეტაპზე წარმოდგენილი სასწავლო კურსები ნაკლებადაა ფოკუსირებული ამგვარ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებზე და უფრო კონკრეტული სახელმწიფოს/სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის აღწერასა და ანალიზზეა ორიენტირებული;
4. პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას კურსი კონფლიქტის და მშვიდობის კვლევების შესახებ. პროგრამაში არსებული კურსი, სახელწოდებით „თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი საკითხები", რომელიც გარდა იმისა, რომ არჩევითია, არ ფარავს კონფლიქტის და მშვიდობის კვლევების მიმართულებით აკუმულირებულ უახლეს თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს და ძირითადად კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივ ასპექტებზეა ორიენტირებული. ბუნებრივია, სამართლებრივი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ფლობა თავისთავად ღირებული მიზანია, თუმცა, რადგან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრია და არა საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, მიზანშეწონილია კონფლიქტის და მშიდობის კვლევების საკითხები უმეტესწილად სწორედ რომ პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების ჭრილში იქნას განხილული. პროგრამის მიზნების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულები ფლობდნენ ცოდნას იმ თანამედროვე თეორიების თუ მიდგომების შესახებ, რაც კონფლიქტების კვლევის მიმართულებით დაგროვდა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, ასევე მშვიდობის კვლევების ქვედისციპლინის ფარგლებში;
5. პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი შედარებითი პოლიტიკის შესახებ. აღნიშნულმა კურსმა სტუდენტებს უნდა მისცეს ცოდნა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიც არის: საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი აქტორის, სახელმწიფოს ფორმირება და

მისი შიდა მოწყობის თავისებურებები შედარებით პერსპექტივაში, დემოკრატიის და პოლიტიკური სისტემის ალტერნატიული ფორმების განვითარება და მათ წინაშე არსებული გამოწვევები, დემოკრატიის გლობალური გავრცელების სირთულეები და ალტერნატიული პოლიტიკური სისტემების საპასუხო რეაქცია, მმართველობის ფორმების მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკისთვის, სახელმწიფოს ეკონომიკური მოწყობის მოდელები შედარებით პერსპექტივაში და სხვა მნიშვნელოვანი თემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: 1. პროგრამას დაემატოს სამაგისტრო ნაშრომის და პროგრამისთვის რელევანტური სხვა წერითი დავალებების შესრულებაზე ორიენტირებული აკადემიური წერის კურსი; 2. პროგრამას დამოუკიდებელ კურსად დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსი; 3. პროგრამას დაემატოს შემდეგი თემატური სასწავლო კურსები: 1) საგარეო პოლიტიკის ანალიზი; 2) კონფლიქტის და მშვიდობის კვლევები; 3) შედარებითი პოლიტიკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაში მრავალფეროვანი სასწავლო კურსებია წარმოდგენილი. კურსები ფარავს როგორც უშუალოდ დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, ასევე ისეთ მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს, როგორიც არის: სამართალი, ეკონომიკა და სხვა. პროგრამაში ჯამში 40 მდე სასწავლო კურსია ინტეგრირებული, ამათგან 12 სავალდებულო ბლოკიდან და დანარჩენი არჩევითიდან. დარგობრივი კურსების მიღმა პროგრამაში გათვალისწინებულია უცხო ენების კომპონენტი. კერძოდ, ინგლისური ენის დარგობრივი კურსი (სავალდებულო) და დამატებით არჩევითი კურსების სტატუსით ფრანგული, თურქული და რუსული ენების, ასევე აფხაზური და ოსური ენების სწავლება. დამატებითი უცხო ენების სწავლება ენის 2 დონეზეა გათვალისწინებული სტუდენტის მიერ ენის ფლობის დონის შესაბამისად.

სასწავლო კურსებს მათი სპეციფიკის და შინაარსის გათვალისწინებით მიკუთვნებული აქვს განსხვავებული კრედიტები. საერთო ჯამში, კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ლოგიკურად არის უზრუნველყოფილი.

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომის სახით, რომელსაც 30 კრედიტი აქვს მინიჭებული და პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ბლოკის ნაწილია.

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი

ძირითადად ლოგიკურ ბმაშია პროგამის მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან. ამავდროულად, გვაქვს რამდენიმე მოსაზრება არსებულ კურსებთან მიმართებაში. კერძოდ:

1) წარმოდგენილ პროგრამაში საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის კურსს მინიჭებული აქვს არჩევითი, ხოლო საერთაშორისო ეკონომიკის კურსს - სავალდებულო კურსის სტატუსი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით წარმოდგენილი პროგრამის კონტექსტში სავალდებულო კურსის სტატუსს უფრო მეტად საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის კურსი იმსახურებს, ვიდრე საერთაშორისო ეკონომიკის. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი ქვედისციპლინაა, რომელიც იკვლევს პოლიტიკის და ეკონომიკის ურთიერთმიმართებას საერთაშორისო დონეზე და მას ეკონომიკური საკითხები სწორედ რომ მათი პოლიტიკური ეფექტების ჭრილში აინტერესებს. საერთაშორისო ეკონომიკა კი, კლასიკური გაგებით, ეკონომიკის მეცნიერების ქვემიმართულებაა, სადაც მთავარი ფოკუსი ეკონომიკაზეა, როგორც დამოუკიდებელ სფეროზე. ასევე, ხაზგასასმელია, რომ პროგრამაში სავალდებულო კურსის სტატუსით უკვე არის წარმოდგენილი ეკონომიკის შესავლის კურსი, რომელიც სტუდენტს უვითარებს მიკრო და მაკრო ეკონომიკის შესახებ საბაზისო ცოდნას;
2) პროგრამაში სავალდებულო კურსის სტატუსით წარმოდგენილია ინგლისურენოვანი კურსი „Contemporary International Contract Law and Practice“. ექსპერტთა ჯგფის შეფასებით წარმოდგენილი პროგრამის მიზნების და დარგობრივი საჭიროებების გათვალისწინებით აღნიშნული კურსს უფრო მეტად არჩევითი კურსის სტატუსი შეესაბამება, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ საერთაშორისო სამართლის სწავლება სავალდებულო კურსის სტატუსით ისედაც არის პროგრამაში გათვალისწინებული; ასევე, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით ბევრად უფრო ლოგიკურია სასწავლო კურსი „დიპლომატიური პროტოკოლი და ეთიკა“ ნაცვლად არჩევითისა, სავალდებულო კურსის სტატუსით სარგებლობდეს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსები „Contemporary International Contract Law and Practice“ და „დიპლომატიური პროტოკოლი და ეთიკა“ ორივე ერთი მოწვეული ლექტორის მიერ იკითხება.
3) გაუგებარია რა მიზანს ემსახურება კურსი „აქსიოლოგია და ეგზისტენციალური კრიზისი“ წარმოდგენილ პროგრამაში. აღნიშნული კურსის მიზანსა და შედეგებში ვკითხულობთ: „კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ეგზისტენციალური კრიზისისა და აქსიოლოგიის ცოდნა, რომელიც მოიცავს ძირითად პრინციპებს, თეორიებს,

კონცეფციებს და მეთოდებს. ასევე კულტუროლოგიის ზოგიერთ გამორჩეულ ან ახალ ასპექტს, რის შედეგადაც სტუდენტი აცნობიერებს ეგზისტენციალური კრიზისის საერთო სტრუქტურასა და ურთიერთკავშირს ზოგად კულტურულ მოცემულობასთან“. აღნიშნული კურსი არ შეესაბამება წარმოდგენილი პროგრამის კონცეფციას; 4) სასწავლო კურსების აბსოლუტურ უმრავლესობაში სავალდებულო ლიტერატურა არ არის კვირების მიხედვით გაწერილი, რაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ბევრი ლიტერატურაა მოცემული, შესაძლოა სტუდენტებისთვის დამაბნეველი იყოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კურსებში სავალდებულო ლიტერატურის კვირების მიხედვით გადანაწილდეს;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის კურსს მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტაუსი, ხოლო საერთაშორისო ეკონომიკის კურსს - არჩევითი კურსის სტატუსი; 2. სასწავლო კურსს „Contemporary International Contract Law and Practice“ მიენიჭოს არჩევითი კურსის სტატუსი, ნაცვლად სავალდებულოსი; 3. სასწავლო კურსს „დიპლომატიური პროტოკოლი და ეთიკა“ მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტატუსი; 4. პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან შეუსაბამობის გამო გადაიხედოს სასწავლო კურსის „აქსიოლოგია და ეგზისტენციალური კრიზისი“ წარმოდგენილ პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხი; 5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით გაიწეროს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ მოტივირებულია განავითაროს მისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი უნარები; პერიოდულად ტარდება ტრენინგები სწავლების ახალი მეთოდების გაცნობა-დანერგვის მიზნით. ონლაინ-სწავლებაზე გადასვლამ ახალი გამოწვევები გააჩინა. ამიტომ აუცილებელი გახდა პერსონალისათვის დამატებით განმარტებული ყოფილიყო, როგორ უნდა მორგებოდნენ ახალ რეალიებს. აღსანიშნავია, რომ უსდ მონაწილეობს erasmus+ გაცვლით პროგრამებში. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას. მას მოემსახურება ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება. აღნიშნული კი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ პროგრამაში ჩართული სტუდენტები და ლექტორები ისარგებლებენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით. ამჟამად, აკადემიური პერსონალის ნაწილი თანამშრომლობს კიევის უნივერსიტეტთან სასწავლო და სამეცნიერო-კვლვითი გამოცდილების გაზიარების მიზნით. უსდ-ში ფუნქციონირებს მშვიდობის კვლევების (სამეცნიერო) ცენტრი, რომლის

თანაშრომლები ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებაში. უფრო მეტიც, ცენტრის დირექტორი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელიცაა. სამეცნიერო ცენტრის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის გახდება სტუდენტთათვის სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმა კვლევებში ჩასართველად (და შესაბამისად, კვლევითი უნარების გასავითარებლად). უსდ-სა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიხატა სრული მხარდაჭერა აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, კვლევითი პროექტების მხარდაჭერა, აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნების ხელშეწყობა და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ მემორანდუმები; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების შესწავლამ და აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამა იყენებს სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდებს (ინტერაქცია, დებატი, დისკუსია, პრეზენტაცია, ინდივიდუალური შეხვედრები/საკონსულტაციო საათები თუ სხვა). ჩამოთვლილი მეთოდები მორგებულია, როგორც ჯგუფის, ისე ინდივიდუალური სტუდენტის მოთხოვნებსა და შედეგის წარმატებით მიღწევაზე.

საერთო ჯამში, პროგრამა ხორციელდება რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც სრულად პასუხობს საგანმანათლებლო საფეხურის მოთოხვნებს, კურსების შინაარსს და ხელს უწყობს სწავლის შედეგებზე გასვლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსში ფიქსირდება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება (ერთობლივი კვლევა; როლური თამაშები; ფილმის ჩვენება; დოკუმენტის მომზადება) რაც ხელს უწყობს ინტერაქციას და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სწავლის პროცესში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაში ნათლად არის გაწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები. შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღება სტუდენტებს შეუძლიათ როგორც კურსის სილაბუსების, ასევე დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტის მეშვეობითაც. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, წარმოადგენს შეფასებათა 100 ქულიან სისტემას, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით

შეფასებას/გამოცდას. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები მოიცავს ასევე შემდეგ კომპონენტებს: წერით სემინარებს და საშინაო დავალებებს, ზეპირ გამოკითხვებს, ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადებას, თემატური ესსეს/რეფერატის მომზადებას. რიგ საგნებში ასევე წარმოდგენილია ყოველკვირეული შუალედური შეფასების 30 ქულიანი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც ფასდება ჯგუფში მუშაობა ზეპირი და წერით გამოკითხვის სხვადასხვა კომპონენტის გამოყენებით. თითოეულ კომპონენტს გაწერილი აქვს შესაბამისი შეფასების ქულა და ნათლად არის ფორმულირებული მისი წილი საბოლოო შეფასებათა ჯამში. პროგრამა ასევე მოიცავს 30 კრედიტიან სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. კერძოდ, პროგრამის დასასრულს, მეოთხე სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომი, რომლის შეფასების წესი მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციაში და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ № 05/01-172, დადგენილების #05/01- 291 ცვლილებაში „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თაობაზე. ამასთანავე როგორც ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, სამაგისტრო ნაშრომები გადის შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე. ხაზგასასმელია, რომ სტუდენტთა შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი და აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

ამასთანავე, როგორც მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა უნივერსიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა შეფასების გასაჩივრებისა და უკუკავშირის შესაძლებლობა. ამასთანავე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა უშუალოდ სასწავლო კურსის შეფასებასთან დაკავშირებით მიმართოს კურსის ლექტორს და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია როგორც შეფასების, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. ამასთანავე, ინტერვიუს დროს მომიჯნავე დარგის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ შეფასების შედეგები და მიიღონ ინფორმაცია საპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდების აღდგენის შესახებ.

საერთო ჯამში, იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ აკრედიტაციაზე წარდგენილი აღნიშნული პროგრამა ახალია და მოცემულ ეტაპზე მას არ ჰყავს სტუდენტები, პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების რელევანტურ ფორმებს, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები

ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს აღნიშნული კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ამათანავე მოცემული პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში წარმოდგენილი სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2014 წლის 5 აგვისტოს დამტკიცებულ № 05/01-172 დადგენილებაში „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თაობაზე და 2016 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილება #05/01- 291. ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან და მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უსდ-მ უფრო აქტიურად გამოიყენოს პლაგიატის სისტემა პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე. კერძოდ, პლაგიატზე მოხდეს არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის, არამედ საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსების შუალედური და ფინალური წერითი ნაშრომების (ესეების, რეფერატების) შემოწმება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად, კვლევითი სამუშაოს განსახორციელებლად და სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისა და მომიჯნავე დარგის სტუდენტების გამოკითხვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

მაგისტრანტებს მიეწოდებათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია მიმდინარე ან დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გრანტების, კვლევების და გაცვლითი პროგრამების შესახებ. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ აკრედიტაციაზე წარდგენილი აღნიშნული პროგრამა სრულიად ახალია და მას არ ჰყავს მოცემულ ეტაპზე სტუდენტები, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მოცემული პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კავშირს. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. თუმცა როგორც ონლაინ ვიზიტისას გამოიკვეთა, სასურველია არსებული პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე პროგრამამ უზრუნველყოს მომავალი სტუდენტებისათვის მაქსიმალურად მოქნილი საკომუნიკაციო სისტემის გამართულად ფუნქციონირება, რაც გულისხმობს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სატელეფონო კომუნიკაციისა და შესაბამისი ონლაინ პლატფორმების გამოყენებით სტუდენტს საშუალება ჰქონდეს დაუბრკოლებლად ეკონტაქტოს ადმინისტრაციის წარმოადგენლებს და მიიღოს სწავლის პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, მნიშვნელოვანია ჩატარდეს აღნიშნული პროცესის განხორციელების მონიტორინგი, რათა ხარვეზების არსებობის შემთხვევაში დროულად მოხდეს მათზე რეაგირება და სტუდენტებს და განსაკუთრებით პირველკურსელებს სასწავლო წლის დასაწყისშივე მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროგრამის შესახებ, ასევე წარედგინოთ ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

აქვე აღსანიშნავია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების თანახმად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას უნივერსიტეტის მართვისა და სასწავლო პროცესების ფორმირების კუთხით დაგეგმილ ღონისძიებებში. უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით ასევე ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათშორისი კავშირების სამსახური, ასევე შექმნილია სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. მოქმედებს სტუდენტების ინიციატივის საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა კლუბები, რომელთა შორის ხაზგასასმელია დიპლომატთა კლუბი. აღნიშნული კუთხით სტუდენტთა საქმიანობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი მოტივაციის ზრდას და შესაბამისად მათ ჩართულობას სტუდენტურ კონფერენციებში, დარგობრივ შეხვედრებში. აქვე

ხაზგასასმელი, რომ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო სასწავლო კურსებში მონაწილეობის შესაძლებლობას. ამასთანავე აღსანიშნავია პროგრამის აკადემიური პერსონალის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობების პროფესიულ დონეზე წარმოების კუთხით, მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს, რაც თავის მხრივ ახალ შესაძლებლობებს უქმნის სტუდენტებს მაქსიმალურად ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში, გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა კვლევით ცენტრებში. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან და დარგობრივ ორგანიზაციებთან (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდთან, საქართველოს მდგრადი განვიარების ასოციაციასთან, საქართველოს დაზვერვის სამსახურთან და სხვა). სასურველია სამომავლოდ სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის შედგომი გაღრმავებისა და ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის მხრიდან კიდევ უფრო გაფართოვდეს საქართველოში არსებული იმ კვლევითი და ანალიტიკური ცენტრების სია, რომლებთანაც სამომავლოდ ითანამშრომლებს პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სტუდენტთა ჩართულობის ამაღლების კუთხით, მისასალმებელია უცხო ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი კურსების შეტანა სასწავლო პროგრამაში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრთან, რომლებთან ერთადაც ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში, სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლით პროგრამებში და სხვ. სასურველია აღნიშნული შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, რათა მიეცეთ მომავალ სტუდენტებს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების, თანამედროვე მიღწევების გაცნობის, გაცვლით პროგრამებში და საგრანტო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობები. ამასთანავე სასურველია პერიოდულად მოეწყოს უცხოელი პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების ვიზიტები, რათა ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით სტუდენტები გაეცნონ დარგის თეორიულ და პრაქტიკულ სიახლეები. ეს თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას ჩაერთონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესებში. ამ მიზნით ასევე სასურველია პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მიეცეთ საშუალება ისარგებლონ იმ სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის მიმართულებით. ეს თავის მხრივ კიდევ უფრო შეუწყობს ხელს

სტუდენტებს მოიძიონ და გაეცნონ სამეცნიერო კვლევებს და გააძლიერებს ასევე პროგრამის კვლევით კომპონენტს. ასევე, ხაზგასასმელია რომ უნივერსიტეტში მოქმედებს მოქნილი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს როგორც სწავლის საფასურის მოქნილ საგადასახადო სისტემას, ასევე მთელ რიგ შეღავათებსა და წამახალისებელ მექანიზმებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდამჭერი და წამახალისებელი ფინანსური სისტემის გამართულად ფუნქციონირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გაუმჯობესდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შორის დისტანციური კომუნიკაციის მექანიზმები, რათა სტუდენტმა შეძლოს სწავლის პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღება; • უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სამომავლოდ გაფართოვდეს საქართველოში მოქმედი კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან თანამშრომლობის არსებული პლატფორმა; • მაქსიმალურად მოხდეს სამომავლოდ ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობა პროგრამის ხელმძღვანელებისა და მის განხორციელებაში ჩართლი პერსონალის მიერ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამა ახალია და მას ჯერ არ ჰყავს მიღებული სტუდენტები, მხოლოდ პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან, ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;

○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან; ○ კურსდამთავრებულთა ნაშრომები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები,	X			

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: 10 პროფესორი და 12 მოწვეული ლექტორი. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება სრულად პასუხობს პროგრამის მიზნებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ არაერთ პირს აქვს გამოცდილება დიპლომატიის, სახელმწიფო მართვის, საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროებში. ლექტორების მნიშვნელოვან ნაწილს ჰქონიათ ან აქვთ პროფესიული შეხება მათივე სასწავლო კურსებით განსაზღვრულ თემებთან, რაც პროგრამის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საერთო ჯამში, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია

პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან. ასევე, აკადემიური პერსონალის რაოდენობა და აკადემიურსა და მოწვეულ პერსონალს შორის არსებული ბალანსი სავსებით პასუხობს პროგრამის მდგრადობის მოთხოვნებს. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია. პროგრამას ყავს სამი ხელმძღვანელი, რომელთა პროფესიული გამოცდილება და აკადემიური და კვლევითი ინტერესები ფარავს დიპლომატიის, საერთაშორისო პოლიტიკის და საერთაშორისო სამართლის სფეროებს. პროგრამის ხელმღვანელებს აქვთ მდიდარი გამოცდილება როგორც სწავლების, ასევე სხვა სახის აკადემიური აქტივობების მიმართულებით. პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი ფლობს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგს და აქვს დიდი დიპლომატიური გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია და გამოცდილება როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული ნიშნით ეჭვს არ იწვევს და სრულად შეესაბამება წარმოდგენილი პროგრამის მიზნებს და ამოცანებს. წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება დაგეგმილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის და დიპლომატიის ფაკულტეტის ბაზაზე. აღნიშნულ ფაკულტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება და შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანია, რომლის უშუალო ჩართულობა პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამისთვის საჭირო ადმინისტრაციული მხარდაჭერის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ კარიერული დიპლომატების და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის მონაწილეობა პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა. აღნიშნული სისტემის თანახმად, გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის შეფასება სწავლების და სამეცნიერო/კვლევითი აქტივობების მიმართულებით.

შეფასების ზემოაღნიშნული სისტემის თანახმად, სწავლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის შეფასებისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა შეფასება კოლეგების მიერ, შეფასება სტუდენტების მიერ, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სილაბუსის შემოწმება და სხვ.

სამეცნიერო მიმართულებით შეფასების სისტემა მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს როგორიც არის: პუბლიკაციები, მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევისათვის მოზიდული თანხების რაოდენობა, დარგობრივი კომისიების წევრობა, დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობა, დოქტორანტების რაოდენობა/უშუალო ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციების

რაოდენობა და სხვა. აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ხორციელდება დაწესებულების მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმის მეშვეობით, რომელსაც თავად აკადემიური პერსონალი ავსებს და წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი პერიოდულობით. თავისთავად, აკადემიური პერსონალის ფორმალიზებული შეფასების სისტემის თუ წესის არსებობა მისასალმებელია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მკაფიოდ არ იკვეთება, თუ როგორ იყენებს დაწესებულება პერსონალის შეფასების შედეგებს პერსონალის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ახორციელებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების ფინანსურ მხარდაჭერას. აღნიშნული გადამოწმდა უნივერსიტეტის და წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების ბიუჯეტების შესწავლის საფუძველზე. დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებულია საკმარისი თანხები აკადემიური პერსონალის ქვეყნის შიდა და გარე მივლინებებისთვის. ამავდროულად, უშუალოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების მხარდაჭერისთვის მხოლოდ 800 ლარი არის გათვალისწინებული, რაც ძალიან მცირე რესურსია ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა; ○ დაწესებულების ბიუჯეტილ ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია პროგრამის ბიუჯეტში უფრო რეალისტური ფინანსური რესურსები იქნას გათვალისწინებული პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების მხარდასაჭერად; 2. სასურველია უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ როგორ იყენებს დაწესებულება პერსონალის შეფასების შედეგებს პერსონალის კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება ფლობს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა დისტანციური მეთოდით დაეთვალიერებინა და შეეფასებინა პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერიალური თუ სხვა სახის რესურსები. დაწესებულებას აქვს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი საკლასო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრები, სამკითხველო სივრცეები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და სამედიცინო მომსახურების პუნქტი, კვების ობიექტი და სხვა. ასევე, დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ონლაინ პლატფორმა, Studlab. აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით

შესაძლებელია კომუნიკაცია ლექტორებს და სტუდენტებს შორის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული იმგვარი აქტივობების განხორციელება, როგორიც არის შეფასებების ატვირთვა, ლიტერატურის პლატფორმაზე განთავსება და სხვა.

დაწესებულებაში რამდენიმე წელიწადია ფუნქციონირებს მშვიდობის კვლევების ცენტრი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით და რესურსებით. მნიშნელოვანი იქნება აღნიშნული ცენტრის ადამიანური, მატერიალური თუ სხვა სახის რესურსების უფრო აქტიურად ჩართვა პროგრამის განხორციელების და განვითარების პროცესში.

ამავდროულად, ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დაწესებულების იმ საბიბლიოთეკო რესურსების შეფასებაზე, რომელიც არსებითია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო ლიტერატურით განსაზღვრული რამდენიმე წიგნის მოძიება ბიბლიოთეკის ელ-კატალოგში ვერ მოხერხდა. ასევე, დაწესებულების ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესწავლისას გამოჩნდა, რომ დაწესებულებას აღარ აქვს წვდომა პროგრამისთვის ისეთ მნიშვნელოვან სამეცნიერო ბაზებზე, როგორიც არის: EBSCO, JSTOR, Muse Project, Taylor@Francis Online და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვირტუალური ტური დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების მიზნით

რეკომენდაციები:

1) აუცილებელია ბიბლიოთეკაში სრულად, გამონაკლისის გარეშე იყოს ხელმისაწვდომი პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა;
2) პროგრამისთვის რელევანტურ ონლაინ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის განახლება ან მათი შესყიდვა. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ინსტიტუციური წვდომის ქონა შემდეგი სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO, JSTOR, Muse Project, Taylor@Francis Online.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია დიპლომატიის და სამართლის ფაკულტეტის საბჭოს მიერ. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად შეადგენს 9500 ლარს, რომელიც მუხლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

1. მცირეფასიანი ტექნიკა - 500 ლარი
2. მცირეფასიანი ინვენტარი - 500 ლარი
3. საკანცელარო მასალები - 400 ლარი
4. სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯი - 4500 ლარი
5. კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროექტების მხარდაჭერა - 800 ლარი
6. საგამოფენო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯი - 500 ლარი
7. მიმდინარე რემონტის ხარჯი - 500 ლარი
8. სტუდენტური პროექტები - 1800 ლარი

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში დამატებით არის მოცემული შემდეგი ინფორმაცია:

9. ძვირადღირებული ტექნიკა - 1000 ლარი
10. ძვირადღირებული ინვენტარი - 1000 ლარი
11. აკრედიტაციის საფასური - 8325 ლარი

ფაკულტეტის დეკანთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომითი ანაზღაურება გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში და ის არ ებმის პროგრამის ბიუჯეტს. ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტშივეა გათვალისწინებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვადასხვა, მათ შორის აკადემიური მიზნებისთვის, ქვეყნის შიგნით და გარეთ მივლინების ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამის ბიუჯეტი:
2. უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
3. ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია გაიზარდოს სტუდენტური პროექტების დაფინანსებისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობა;
2. ასევე, სასურველია დაზუსტდეს რა კავშირშია ბიუჯეტში მოცემული მუხლი „მიმდინარე რემონტის ხარჯი“, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ რესურსს 500 ლარის ოდენობით, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის *დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის* სამაგისტრო პროგრამის შიდა ხარისხს უზრუნველყოფს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შიდა შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სამსახურის მიერ შემუშავებულია პროგრამების შეფასების ფორმა კონკრეტული

კრიტერიუმებით, რომლის შედეგების საფუძველზე გაიცემა პროგრამის ცვლილებისა და განახლების რეკომენდაციები; ის უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და მის განმახორციელებელთა ყოველწლიურ შეფასებასა და მონიტორინგს; ახდენს სტუდენტთა გამოკითხვას, შედეგების ანალიზს და კურირებს რეაგირების პროცესს. ხარისხის სამსახური ჩართულია სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაში, კონფერენციებისა თუ საჯარო ლექციების ორგანიზებაში. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ზრდას და სტუდენტების დაინტერესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უშუალოდ იყო ჩართული ახალი სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. მიზნებიდან გამომდინარე ის ორაგანიზებას უკეთებს პროგრამის განვითრების პროცესში დაინტერესებული და საჭირო პირების მონაწილეობას. შედეგად,საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ინიცირების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი და დამხმარე პერსონალი. მათ დაგეგმეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შეიმუშავეს შიდა შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები პროგრამის ეფექტიანი წარმართვისათვის. ხარისხის შეფასების შედეგების განხილვა და მათზე რეაგირება მნიშვნელოვანია სამაგისტრო პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს აკადემიურ პერსონალს ორი მიმართულებით: სწავლების კომპეტენცია და სამეცნიერო კომპეტენცია. პირველი კომპეტენციის დასადგენად გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: სილაბუსის შემუშავება, სწავლების ეფექტური მეთოდები, ცოდნის გადაცემის უნარი, დარგის ცოდნა, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა. მეორე კოპეტენცია კი ფასდება შემდეგი მახასიათებლებით: თვითშეფასება, ლექციებზე ურთიერთდასწრება, სამეცნიერო აქტიურობა და სხვა.

უსდ თვლის, რომ სტუდენტების ჩართულობა მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის შიდა შეფასებისას. გამოკითხვები ტარდება წლის ბოლოს, არის ანონიმური და სრულად არის დაცული კონფიდენციალურობა. ხარისხის სამსახური აკეთებს კვლევის შედეგების რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ რეკომენდაციების მიღების მიზნით.

და ბოლოს, კონკრეტულად, წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება ჩაატარა შიდა ექსპერტმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის პროფესორმა. მან დასკვნაში აღნიშნა, რომ პროგრამა აქტუალურია და შეძლებს დაიკავოს ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში; ამავდროულად, მან გასცა რამდენიმე რეკომენდაცია: მაგ. ზოგიერთი საგნის (აფხაზური, ოსური ენა, ეკზისტენციალური კრიზისი და აქსიოლოგია) შესაბამისობა პროგრამასთან; ყურადღების გამახვილება შემდეგ კურსებზე - საქართველოს ისტორია, აკადემიური წერა, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია; მეტი აქცენტის გაკეთება რეგიონთმცოდნეობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • შიდა ექსპერტის დასკვნის დოკუმენტი (დანართი 6); • ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აკრედიტაციას, რათა დაიხვეწოს და განვითარდეს ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. დამატებით, *დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის* სამაგისტრო პრიგრამის გარე შეფასება განახორციელა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალურმა დირექტორმა, ეკონომიკის დოქტორმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა. გარე შემფასებელი თვლის, რომ პროგრამა შეძლებს სტუდენტებს განუვითაროს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტებისათვის. ამასთან მისთვის პროგრამის ნაკლია, რომ პროგრამა არ ცდილობს მიმდინარე პრობლემების ფონზე ყურადღება დაუთმოს გლობალური დიპლომატიის საკითხებს, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს „დიპლომატიის კულტურულ-ჰუმანიტარულ განზომილებას“. სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასება გააკეთა უცხოელმა ექსპერტმაც - კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ნაციონალური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო ინფორმაციის კათედრის გამგემ და პროფესორმა. მისი აზრით, პროგრამა კარგადაა დაბალანსებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებით, რაც გაამდიდრებს სტუდენტის თეორიულ ცოდნას და განუვითარებს მას დარგის პრაქტიკულ უნარებს. უცხოელი ექსპერტი თვლის, რომ პროგრამის ნაკლია აღმოსავლეთ დიპლომატიის მიმართულების სუსტად წარმოჩენა. ორივე გარე შემფასებლის ხედვები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • გარე შეფასების (ადგილობრივი შემფასებელი) დოკუმენტი; • გარე შეფასების (საერთაშორისო შემფასებელი) დოკუმენტი; • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; • მემორანდუმები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო,

მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამას სემესტრულად შეაფასებს ხარისხის სამსახური ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, ლექტორების მიერ ლექციის ეფექტურად ჩატარება; პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება და ა.შ. ამავდროულად, კურსის შინაარსობრივ მხარეს შეამოწმებენ აკადემიური პერსონალის წევრები. ისინი მოახდენენ ლექციების კონტენტის შეფასებას და გაუგზავნიან შედეგებს ხარისხის სამსახურს. ანალოგიურად წარედგინება მონიტორიგის სხვა ფორმატით ჩატარებული მოკვლევის შედეგად მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ზოგადად, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს აკადემიური პერსონალის, როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსაც. ამავდროულად, აღნიშნული სამსახური პერიოდულად აწყობს ტრენინგებს სწავლა/სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის სამსახური ყოველწლიურად აკეთებს ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ან ცვლის ან ამატებს უფრო ეფექტურ ინსტრუმენტს. რეალობიდან (პანდემია და ონლაინ რეჟიმზე გადასვლა) გამომდინარე, ხარისხის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა ონლაინ-პლატფორმის მეშვეობით ლექცია/სემინარების ჩატარება. შეფერხების გარეშე მიმდინარეობს დისტანციური სწავლება. იგეგმება აღიარებული მეცნიერების მიერ მასტერ-კლასების ჩატარება, სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების დაგეგმვა და სტუდენტთა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში.

ხარისხის სამსახური პერიოდულად ჩაატარებს აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას; მოხდება დასაქმების ბაზრის კვლევა. ჩამოთვლილი მექანიზმები დაეხმარება უსდ-ს (ახალ სამაგისტრო პროგრამას) არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში. ხარისხის სამსახურის მონიტორინგის მექანიზმებით *დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის* პროგრამა კიდევ უფრო დაიხვეწება, გახდება

მოქნილი და ეფექტური. ეს კი საშუალებას მისცემს მას მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • აკადემიური პერსონალის შეფასების დოკუმენტი; • აკადემიური პერსონალის გამოკითხვის დოკუმენტები; • პროცესში ჩართულობის დოკუჯმენტები • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • დასაქმების ბაზრის ანალიზი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიორგი გვალია

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნინო ფავლენიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნანა ფირცხელანი